

## თავი 38 სვავები, მათხოვრები, მატყუარები და მეფეები

მეორე დილას ჯონათანი მზის პირველივე სხივებმა გააღვიძა, მაგრამ მან აღისას გაღვიძება არ ისურვა და გორაკის მწვერვალისკენ აცოცდა.

ხალხი მუდამ ხელს კრავს ერთმანეთს, ემუქრება, ძარცვავს, აპატიმრებს და ზიანს აყენებს, – ფიქრობდა ჯონათანი, ბუჩქებზე ჩაბლაუჭებული, გორაკის წვერზე ასვლას ცდილობდა. როგორც იქნა, აფოფხდა და ფეხქვეშ გადაშლილ ქალაქს გადახედა. ჯონათანმა გადაწყვიტა, მწვერვალამდე ბევრი არ დარჩენილაო და ეკალბარდებში გზის გაკვლევა განაგრძო. მალე ხეები და ბუჩქები უკან ჩამოიტოვა. ახლა მის წინ მხოლოდ უზარმაზარი ლოდებიღა ეყარა. განთიადის ბურუსში ჰორიზონტისკენ გადახრილი სავსე მთვარე მოჩანდა. ჰაერი სასიამოვნოდ ისუსხებოდა და ჯონათანს გზის გაგრძელების ძალას მატებდა. როგორც იქნა, მან მწვერვალს მიაღწია, სადაც ეულ, ბებერ, ფოთოლშემოძარცულ ხეს გაედგა ფეხები. ერთ-ერთ შიშველ ტოტზე უშველელბელი სვავი მოკალათებულიყო.

– ო, არა! – დაიკვნესა ჯონათანმა, რომელიც გაცილებით ლამაზ ხედს ელოდა, – მხოლოდ მე თუ გამიმართლებდა ასე. სიმშვიდის ძებნაში სვავების მდელს გავეცალე და ნამდვილ სვავს წავაწყდი!

– ნამდვილ სვავს! – ექოდ დაიჭექა ხმამ.

ჯონათანი ადგილზე გაშეშდა. მხოლოდ გაფართოებულ თვალებს აცეცებდა და მის წინ გადაშლილ მდელს იკვლევდა. გულისცემა გარკვევით ჩაესმოდა. ათრთოლებული ტუჩებით როგორც იქნა, ძლივს წარმოთქვა:

– ვინ თქვა ეს?

– ვინ თქვა ეს? – გაიმეორა ხმამ. სიტყვები თითქოს ხიდან ამოდიოდა.

ჯონათანი სვავს მიაჩერდა, რომელიც ტოტზე გაყურსულიყო და გაიფიქრა: იქნებ მოლაპარაკე ფრინველია?! თუთიყუშები ხომ ლაპარაკობენ? აბა, მის გარდა ხეზე არავინაა? იქნებ ასეცაა, მაგრამ, სვავებმა რომ ლაპარაკი არ იციან? მერე გაახსენდა, რომ ამ კუნძულზე არაერთი უცნაურობა ენახა, ჰოდა, არც მოლაპარაკე სვავი უნდა გაჰკვირვებოდა.

– შენ მელაპარაკები? – იკითხა ჯონათანმა, თან მთელი ძალით ცდილობდა ხმა არ ათრთოლებოდა.

– აბა, რა! – ამაყად თქვა სვავმა. ჯონათანს ლამის მუხლები მოეკვეთა, თუმცა თავის შეკავება მოახერხა და ხესთან მდგარ ქვაზე ნელა დაჯდა.

– შენ რა, ლაპარაკი შეგიძლია?

– რა თქმა უნდა. ისევე, როგორც შენ, თუმცა, ვეჭვობ, დიდად არ იცი რას ამბობ!

ფრინველმა თავი გადააქნია და დატუქსვის ტონით თქვა:

– მაგალითად, ძალიან მაინტერესებს, რა იგულისხმე, როცა თქვი, სვავების მდელს გავეცალეო?

– მმ... მაპატიეთ... თქვენი წყენინება ნამდვილად არ მსურდა, – მოიბოდიშა ჯონათანმა, – იმის თქმა მინდოდა, რომ ადამიანები ერთმანეთის მიმართ ზედმეტად სასტიკები არიან. მათ შემხედვარეს გარკვეული ასოციაცია ამომიტივტივდა.

– სვავები მოგაგონათ არა? – ფრინველს შიშველ ყელს ქვემოთ წამოზრდილი ბუმბული აექონრა.

ჯონათანმა მორიდებით დაუკრა თავი. სვავი ოდნავ წამოიმართა, უზარმაზარი, შავი ფრთები შეაფრთხილა და კვლავ ტოტზე მოკალათდა.

– ძვირფასო მეგობარო, შენი უბედურება ისაა, რომ ნებისმიერს შეუძლია ლაპარაკით გაგასულელოს. საქციელს უნდა ენდო და არა სიტყვებს.

– არ მესმის თქვენი.

– შენთვის ამ კუნძულზე მხოლოდ სვავები ცხოვრობენ, არა?! ჰმ! სინამდვილეშიც ასე რომ ყოფილიყო რა გვიშავდა, – ფრინველმა ამაყად წაიგრძელა უშნო კისერი, – უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ შენ სხვადასხვა არსებათა კუნძულზე

მოსვდი. აქ სვავეების გარდა მათხოვრები, მატყუარები და მეფეებიც არიან. თუმცა ვერაფერს ხელები, რადგან წოდებებითა და სიტყვებით ხარ დაბრმავებული. ანკესზე წამოეგე და საშინელ მდგომარეობაში ჩავარდი, რადგან ბოროტება პატიოსნებაში აგერია.

ჯონათანი აშკარად არ დაეთანხმა გაგონილს და პროტესტიც გაბედულად გამოთქვა:

– ვერანაირ ტყუილს ვერ ვხედავ. სვავეებს, მათხოვრებსა და მისთანებს შორის განსხვავების დანახვა ძალიან ადვილია. იქ, საიდანაც მე ჩამოვედი, სვავეები დამპალ ხორცს ეტანებიან, რაც საზიზღრობად მიმაჩნია, – მათხოვრები უბრალო და უდანაშაულო ადამიანები არიან. მატყუარები – ჭკვიანი და ხალისიანი ხალხია. რაც შეეხება მეფეებს და სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს, მათ არასდროს შევხვედრივარ, მაგრამ ბევრი რამ წამიკითხავს და ვიცი, რომ შესანიშნავ სასახლეებში ცხოვრობენ და საუცხოო ტანისამოსი აცვიათ. მათ მიბაძვას ყველა ცდილობს. მეფეები და მინისტრები ქვეყანას მართავენ და მოსახლეობას იცავენ... ნუთუ ამის შემდეგაც იტყვი, რომ დაბრმავებული ვარ?

– კი, ვიტყვი! – თქვა სვაემა. ჯონათანმა ახლავა შენიშნა ირონიული პოზა, რომელშიც ფრინველი გაყინულიყო, – ჩამოთვლილი ოთხი ტიპიდან სვაევი ყველაზე ღირსეული ქმნილებაა და ერთადერთია მათ შორის, ვინც საჭირო საქმეს აკეთებს.

უზარმაზარმა შავმა ფრინველმა კვლავ წაიგრძელა კისერი და ჯონათანს მიაშტერდა.

– ბედელში თავი თუ ჩაკვდა, მე ვასუფთავებ. თუ მინდორზე მკვდარი ცხენი გდია, მე ვასუფთავებ. თუ ტყეში გლახაკი მოკვდა, მე ვასუფთავებ. მეც დაპურებული ვარ და სხვებიც კმაყოფილნი არიან. საქმის კეთებას გალიაში ჩასმითა თუ იარაღის ჩემსკენ მომართვით არავინ მაიძულებს. განა ვინმესგან მადლობას ვეღირსები? არა! ჩემი მოვალეობა ბინძურ საქმიანობად მიიჩნევა და „ამაზრზენ“ სვავს უამრავი შეურაცხყოფის ატანა უწევს.

– ახლა ღარიბებზე ვისაუბროთ: არაფერს აწარმოებენ და საკუთარი თავის გარდა სარგებელი არავისთვის მოაქვთ, თუმცა არც ზიანს აყენებენ ვინმეს. რა თქმა უნდა, იმაზე კი ზრუნავენ, რომ ტყეში არ დაიხოცონ. შეიძლება ითქვას, რომ იმ ადამიანებს ანიჭებენ თვითკმაყოფილების გრძნობას, ვინც მოწყალეობას გასცემს, პოდა, მათხოვრებს მხოლოდ ამის გამო იტანენ.

– მატყუარებიც ვახსენოთ – ყველაზე მზაკვარი ადამიანები. მათ შესახებ არაერთი პოემა და ლეგენდა არსებობს. ისინი სიტყვების მეშვეობით სხვების მოტყუებით არსებობენ. მატყუარები სასარგებლოს არაფერს აკეთებენ, მხოლოდ ტყუილისა და თაღლითობის ხელოვნებას ასწავლიან დანარჩენებს.

სვაევი ღრმად სუნთქავდა, რის გამოც სუფთა ჰაერი მყრალი სუნით აივსო.

– დასასრულ, მეფეები. მათ არც მათხოვრობა უწევთ, არც ტყუილი, თუმცა ხშირად ერთსაც აკეთებენ და მეორესაც. მძარცველების დარად, სხვათა მონაგარის ხელში ჩასაგდებად ისინიც საკუთარ ძალაუფლებას იყენებენ. არაფერს აწარმოებენ, თუმცა ყველაფერს აკონტროლებენ. შენ კი, ჩემო გულუბრყვილო მოგზაურო, ხელისუფალთ ადიდებ და სვავეებს მიწასთან ასწორებ. ძველისძველი ძეგლი რომ გენახა, იტყოდი, მის სახელს ასეთი პატივისცემით თუ მოიხსენიებენ, ის მეფე დიადი მბრძანებელი იყო, თუმცა ვერც წარმოიდგენ, რამდენი გვამის აკრეფამ მომიწია, სანამ ამ მონუმენტს აგებდნენ.

– რაც მართალია, მართალია, ადრე მეფეთა შორის არაერთი ნაძირალა იყო, თუმცა დღესდღეობით ამომრჩეველი აძლევს ხმას თავის რჩეულს, რომლის ხილვაც ღორღთა საბჭოში სურთ. ისინი ცუდები არ არიან, რადგან... მათ ხალხი ირჩევს, – თქვა ჯონათანმა.

– არჩეული ხელისუფალნი ასეთები არ არიან? ჰა-ჰა, – აღშფოთდა სვაევი, – ბავშვები დღემდე მეფეებისა და უფლისწულების შესახებ შექმნილ ზღაპრებზე იზრდებიან. არჩეული ხელისუფლებიც იგივე მეფეები არიან, რომლებსაც ოთხი წლით ირჩევენ, პრინციებს კი ორი წლით ამართვინებენ ქვეყანას. ეს ხომ

მათხოვართა, მატყუართა და მეფეთა ნარევია. ისინი მათხოვრობენ, ინტრიგებს ხლართავენ, რათა შემოწირულობები და ხმები მიიღონ, ყველა ხელსაყრელ მომენტში მლიქვნელობენ და იტყუებიან. კუნძულზეც ისე დაიარებიან, თითქოს ყველაფერი მათი საკუთრება იყოს. მათი წარმატების შემთხვევაში მსახურთა და მწარმოებელთათვის ძალიან ცოტა ადგილი რჩება.

ჯონათანი ხმას არ იღებდა, მდელის გასცქეროდა და სევდიანად აქნევდა თავს.

– ისეთ ადგილას მინდა მოვხვდე, რომელიც ამ კუნძულს არ ჰგავს. ნუთუ არსებობს ასეთი ადგილი?

სვავმა უზარმაზარი ფრთები გაშალა და ჯონათანის სიახლოვეს დაეშვა, რომელიც ფრინველის ზომებით გაოგნებული უკან გახტა. ფრინველი მასზე ორჯერ მაღალი იყო.

– იმ მიწის ნახვა გინდა, სადაც თავისუფალი ადამიანები ცხოვრობენ? სადაც ყველა ერთმანეთს უგებს, რადგან ძალაუფლება მხოლოდ საზოგადოების დასაცავად გამოიყენება? გინდა ისეთ ქვეყანას ეწვიო, სადაც ხელისუფალნი იმავე მორალით ცხოვრობენ, როგორითაც ყველა დანარჩენი?

– ო, რა თქმა უნდა! – ხალისით შესძახა ჯონათანმა.

სვავი ყურადღებით აკვირდებოდა ბიჭს, საკმაოდ ახლოს იდგა ჯონათანთან და ეს უკანასკნელი ფრინველის თვალებს კარგად ხედავდა, რომლებიც თითქოს მის სულში იხედებოდნენ და სიმართლის გაგებას ცდილობდნენ.

– ვფიქრობ, შეიძლება მაგ საქმის მოგვარება. ზურგზე შემაჯექი!

სვავი ოდნავ შემობრუნდა და უშველებელი ფრთა მიწაზე დაუშვა.

ჯონათანი ცოტა ხანს ყოყმანობდა, რადგან კარგად ახსოვდა, რომ ქცევა სიტყვებზე მეტად უნდა ერწმუნა. ჰოდა, ფრინველის რომელი საქციელი კარნახობდა, რომ საკუთარი სიცოცხლე ამ უშველებელი ფრთებისთვის მიენდო? ბოლოს მაინც ცნობისმოყვარეობამ სძლია, ფრინველს ზურგზე ააფოფხდა და ფრთებს შორის ამოზრდილ ფაფუკ ბუმბულზე მოიკალათა. ჯონათანმა იგრძნო, რომ მისი მასპინძელი დაიძაბა, მერე უშველებელი ნაბიჯებით წინ გასწია, ოდნავ შექანდა და მსუბუქ ნიავს გაჰყვა.

მათ კუნძულს გადაუფრინეს. ქარი ჯონათანს სახეზე ელამუნებოდა და ისიც თავს შესანიშნავად გრძნობდა. რამდენიმე მეგობარი კი მოენატრებოდა, მაგრამ კუნძულს დიდი სიამოვნებით ტოვებდა. ქალაქი ღრუბლების ქვეშ მიიმაღა, სვავმა ამომავალი მზისკენ გასწია: უეცრად, ჯონათანის ფეხქვეშ უკიდევანო ოკეანე გადაიშალა. ბიჭს ერთადერთი კითხვა აწუხებდა: მაინც სად მივფრინავთ?